წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

სამშაბათი, 20 სექტემბერი

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] ბულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 441 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 441

უზომო მწუხარებაში მყოფნი მშობლები ვასილი და ალექსანდრა ქორქაშვილები, შვილები მათი ნინო ლორთქიფანიძისა, ლევანი, ქეთევანი და თამარი, რძალი ციცინო და სიძე ალექსანდრე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ბრძოლის ველზე გმირულათ სიკვდილს ძვირფასი შვილის და ძმის

კოწიასას,

რომლის დაკრძალავა, მოხდება სოფ. გეგუთში 20 ენკენისთვეს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. 312—1—2

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 19 სექტემბრიდან **განსაკუთ-ებით დიდებისათვის**

1 რიგი. **მხედარ B—ეს საარშიყო თავგადასავალი.**

დრამა ხუთ ნაწილად ცნობილ მსახიობთა გარიჩევასა და საიმპერატორო თეატრების მსახიობის პოლონსკის მონაწილეობით.

გაწვრთნილი თუთიყუში.

სახუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან:

ცეცხლიანი ეშმაკი.

დრამა ოთხ ნაწილად ცნოაილ მსახიობ ქალის ხოლოდნაიას მონაწილეობით.

სახუმარო სურათი. **პრესი როგორ გახდა ყაჩაღი.** სახუმარო სურათი

ქუთაისის ქალაქის **თეატრი**

სამშაბათს, 20 სექტემბერს გაიმართება

კონცერტი

იტალიის ოპერის ცნობილი მსახიობი ქალი

კარმენ სოლიარი (სოპრანო)

და საიმპერატორო თეატრების მსახიობი

რ. ფ. ბერნარდი (ბარიტონი)

პიანისტ **ა. ო. ნემეტის** მონაწილეობით

შემოსავალის ნახევარი გადაიდება ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ ომში დაღუპულ ჯარის კაცთა ბავშვების თავშესაფარის დასაარსებლად.

ადგილების ფასი 3 მ. 80 კაპ-დან 50 კაპ-მდე

314 დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1—1

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ხევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილით 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ც-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი **ი. ჩარექოზი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ. საღ. 6—8 საათ მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

იყიდება ბოჭკები და ჩინი, აგრეთვე ქირავდება ღვინის საკეთებელი მარანი მთელის მოწყობილებით. მოიკითხეთ ქ. ქუთაისი, კახიანაური, სახლი—კლოჭკურული. 313—1—3

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია შეუდგა 1917 წლისათვის ქართული კედლის კალენდრის გამოცემას.

სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, აგენტურებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით მოათავსონ კალენდარში თავისი განცხადებები მეტად ზომიერ ფასად.

298—4—12.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 19 სექტემბრიდან:

სულის ნიღაბი

კინო პიესა 4 დიდ ნაწილად ანნა მარის სცენარით. სერბიის სამეფო თეატრის რეჟისორის მიერ დადგმული ანდრეევისა. გსავსკის, პეტიპას, სავიცკის, პავლოვას, მურატოვას, რუტკოვსკაიასა და ნერონოვის მონაწილეობით,

ლამაზი მოვაჭრე ქალი

სახუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან

და სიმღერა დაუთავებელი დარჩა

დრამა ხუთ ნაწილად მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით

ქრონიკა გომონი უკანასკნელი მიმდინარე ამბავი

მსოფლიო ომი.

დეპეშები

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.

16 ენკენისთვე

პეტროგრადი დასავლეთის ასპარეზი. ბერუნი-კრევოს მიდამოებში, სმორგინის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი მტრის ზურგის საწყობებს ცეცხლი გაუჩინეს. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე ბარგის ურმებს. იქვე მოხდა ჰაერში ბრძოლაც. გერმანელების 4 ჰაეროპლანი იძულებული იყო ძირს დაშვებულიყო. ერთი ჩვენი საფრენი ორ „ალბასტროსთან“ ბრძოლაში მტრის ბანაკში დაეცა. დავღუპეს აგრეთვე საფრენი „მერან-პარასოლ“-ის ტიპისა.

გუკოლოვის ტყეში მოპირდაპირემ გააძლიერა ზარბაზნების სროლა და ჩვენის თხრილებისაკენ იერიშით წამოვიდა, მაგრამ ტყვიისმფრქვეველებით შევაჩერეთ და უკანვე გავაბრუნეთ.

მდ. ბისტრიცაზე, ბოგოროდიჩის მიდამოებში, ჩვენმა მზვერავებმა აიღეს მტრის სამი სადარაჯო და რამდენიმე ათეული ტყვე წამოიყვანეს. ხელთ იგდეს 20 ვინტოვკა და 3 ათასი პატრონა. დანარჩენ ასპარეზზე არსებითი რამ ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი. ოფიც' ცნობა. მაასის მარჯვენა ნაპირას გერმანელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ტიომონ ფლერის ბრძოლის ხაზზე, მაგრამ დიდის ზარალით მოვიგერიეთ.

მახლობელ აღმოსავლეთში ენიმის მახლობლად ბულგარელების რაზმი დიდად დაზარალდა და გაიფანტა. ყაიმაჩალანის მიდამოში ბულგარელებს ძვირად დაუჯდათ სერბიელების თხრილების აღება. მონასტირის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჰაეროპლანებმა კენალს ყუმბარები დაუშინეს.

სერბეთის ოფიციალი ცნობა. ყამაჩალანთან ბულგარელებმა დიდის მსხვერპლის გაწირვით დაიპყრეს ნაწილი ჩვენი თხრილებია.

საღამოს ოფიც. ცნობა. სომას ხაზზე ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა. სხვაგან არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

17 ენკენისთვე

კორფუ. სერბიელთა მთავარ შტაბის ცნობა. ყაიმაყჩალანთან ბულგარელებმა იერიში მოიტანეს. აქ მოხდა საშინელი სისხლის მღვრელი ბრძოლა ყველა სანგრები შევინარჩუნეთ, ზოგიერთა მოწინავე თხრილების გარდა. ჯარის სულიერი მდგომარეობა ჩინებულია. ამ ბრძოლის დროს დაიჭრა სახელოვანი პოლკოვნკი ალექსი ჩტოიჩიჩი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1 ბულგარელი აფიცერი და 50 მეომარი.

პარიზი. ოფიც. ცნობ. აღმოსავლეთის ასპარეზი. სტუსუმიდან ვარდარამდე არსებითი რამ არ მომხდარა. მდ. ბროდის მიდამოებში მოპირდაპირემ უშედეგო იერიში მოიტანა. მარცხენა ფრთაზე ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა, ქვეითა ჯარს არ უმოქმედნია. ჩვენმა მფრინავებმა მონასტრის რამდენიმე ყუმბარა ესროლეს ერთგან აფეთქება შეამჩნიეს.

ათინა. ვენიზელოსის წასვლა აჯანყების დაწყებას არ ნიშნავს. ვენეზილოს შეეცდება გააერთიანოს ხალხი ბულგარეთის წინააღმდეგ ასამხადრებლად.

პარიზი სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, შეადგინონ სიები 1918 წელში ჯარში გასაწვევათ.

კიევი. „არმეისკი ვესტნიკ“-ში გამოცხადებულია ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზის მთავარ სარდლის ბრძანება, რომლითაც აკრძალულია მომქმედ ჯარის ზურგისაკენ იარაღის გატანა. კიევში 1915 წელს 15 აპრილიდან ასეთი იარაღი ჩამოურთმევიათ 1317 ვინტოვკა და 433 ყარაბინი. დამნაშავენი პასუხის გებაში მიეცემიან ხარისხის მიუხედავათ.

ლონდონი. საბერძნეთის ბატონიშვილი ანდრია ლონდონში იმყოფება საბერძნეთის სასახლის წარმომადგენლად. ეხლა მას მეფე დეპეშით იბარებს, ათინაში ჩამოდიო.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

„პოლონეთის სახელმწიფოებრივობის კლუბს რუსეთის საწინაღმდეგო რეზოლიუცია მიუღია და ორატორებს სხვათა შორის უთქვამთ მალე უნდა გამოცხადდეს პოლონეთის დამოუკიდებლობა, რომ რუსეთს ომი გამოუცხადოთო. პოლონეთის ექვს პარტიას პროტესტი განუცხადებია ამ რეზოლიუციის გამო.

— —

ხმებია, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს ფონ-იაგოვს ახლო მომავალში გადააყენებენო.

— —

საბერძნეთში აჯანყებულებს განზრახვა აქვთ მაკედონიის და ეგეის არხიპელაგის დამოუკიდებულება გამოაცხადონ, მეფედ ვენიზელოსი აღიარონ და ცენტრალ სახელმწიფოებს ომი გამოუცხადონ.

— —

ბულგარული წყაროების მიხედვით დობრუჯაში ბულგარელებს რუსის მოხელეები დაუტყვევებიათ, რომელნიც მომავალში ახლად დაპყრობილ ტერიტორიის გამგენი იქნებოდნენ, როცა რუსები ბულგარეთში შეიჭრებოდნენ.

ინგლისის პარლამენტის წევრის ლერინგის შვილი ბრძოლებში მოუკლავთ.

— —

უკანასკნელი ცნობებით, მოკავშირეთა ფლოტს ეგეის ზღვაში შეერთებია საბერძნეთის ჯავშნოსნები: „სარა“, „სპეცია“, „ჰიდრა“ და რამდენიმე კონტრ ნაღმოსანი.

— —

1200 ბერძენ ოფიცერს მეფისთვის პეტიცია გაუგზავნია და საჭიროდ სცნობენ ომი გამოეცხადოს ბულგარეთს.

— —

საბერძნეთის მთავრობა სდევნის სალონიკის მეამბოხეთ.

— —

გერმანიის მთავრობას შემნახველ კასებში შეტანილი ფულისათვის სეკვესტრი უქნია.

— —

დობრუჯაში ბრძოლის მთელი სიმძიმე რუსებს დასწოლიათ და მათ შეუჩერებიათ ბულგართა წინსვლა.

— —

ოსმალეთი და რუსეთი ახლო მომავალში დაუძლურებულ ტყვეებს გასცვლიან; მხოლოდ რუსების თხოვნით ეს მოხდება შვეციით და არა შავ ზღვაზე, როგორც ეს ოსმალეთს სწადდა.

— —

იტალიელებს ქ. ტრიესტის წყალსადენი ჩაუგდიათ ხელში.

— —

რუმინის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს ტაკეიონესკოს განუცხადებია; ერთი ის გარემოება, რომ ჩვენი სამხედრო საავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით ცხად ყოფს ჩვენი ომში ჩარევის დიდ მნიშვნელობას; ამას გარდა საყურადღებოა ის გარემოება რომ რუმინიის ასპარეზის ამბავს გერმანელები მუდამ პირველად იხსენიებენო

— —

ტაკე —იონესკუს აზრით ბალკანეთის ბრძოლებს უპირველესი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი საჭიროდ სცნობს ჯერ ბულგარეთის გასრესას და შემდე ოსმალეთისას.

— —

სერბიის სკუპშჩინას მემკვიდრე ალექსანდრესთვის ფლორინას გამორკვების გამო მისალოცი დეპეშა გაუგზავნებია.

მოკავშირეთა პრესა საჭიროდ სცნობს ინგლის—საფრანგეთის ფლოტმა ზარბაზნები დაუშინოს ათინას, თუ საბერძნეთი არ გამოუცხადებს ომს ბულგარეთს.

— —

საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გერმანიის კოალიციის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი უნახულებია, მხოლოდ მოკავშირეთა წარმომადგენლები კი არა. კარაპანოსის ასეთ ქცევას დიდი აღშფოთება გამოუწვევია მოკავშირეთა შორის.

— —

ეგრედ წოდებული ნაციონალურ თავდაცვის კომიტეტი ისე იქცევა, როგორ სახელმწიფო უფლებებით აღჭურვილი მთავრობა; თავის ჯარში გაუწვევია სათადარიგო ჯარის კაცები 25—29„ წლამდის.

— —

ათინის გაზეთბის ცნობით დიპლომატიური ერთობა მოკავშირეთა და კალაგეროპოლოსის კაბინეტის შორის ცოტა ხანში განახლდება.

— —

რეიხსტაგი გახსნისათანვე საიმპერიო სამხედრო საბჭოს დაარსების საკითხს განიხილავს.

— —

ცეპელინების ინგლისზე უკანასკნელ თავდასხმას დიდი ზარალი მიუყენებია ინგლისელებისათვის.

ომის დღიური.

დასავლეთის ასპარეზი. მოკავშირეები თავის წარმატებას ანვითარებენ. ოკურისა და ლამეს სამხრეთით ინგლისელებმა 700 ადლით წინ წაიწიეს. როგორც ვერდენთან ისე მთელი დასავლეთ ასპარეზის დანარჩენ ნაწილში ბრძოლები ამ ბოლო დროს მთლად შენელდა.

იტალიის ასპარეზი. ავსტრიელები ენერგიულ მოქმედებას განაგრძობენ. იტალიელები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ.

მაკედონიის ასპარეზი. ბულგარელებმა გაამრავლეს რა საერთოდ ამ ასპარეზზე ჯარი მედგარი იერიშებით შეაჩერეს სერბიელთა წინსვლა და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე.

დანარჩენ ასპარეზების შესახებ ცნობები არ მოსულა.

— —

ამას წინად ერთ ერთ რუსულ მემარჯვენე გაზეთში ცნობილმა შულაცელმა დასტამბა წერილი, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ რუსეთი მონარქიულ გერმანიას უფრო უნდა დაუახლოვდეს ვიდრე პარლამენტლურ ინგლისსაო. ამის გამო გერმანულ „დოიჩე ტაგეს ცაიტუნგში" გრაფი რევენტლოვი სწერს; საყურადღებოა შულაცელის წერილი და რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება ახალ ფაზაში გადავაო.

— —

ავსტრიის მინისტრთა საბჭოს მსჯელობა ჰქონია რეიხსრატის მოწვევის შესახებ.

— —

ინგლისში ჯერჯერობით საჭიროდ არ უცვნიათ 45 წლიანების გაწვევა.

— —

საზღვარ გარეთის გაზეთების აზრით გერმანელები მალე შეტევას დაიწყებენ აღმოსავლეთის ასპარეზზეო; მაგრამ ამასთანავე დასძენენ გაზეთები, რომ გინდენბურგს საკმარისი ჯარი არ ეყოლებაო.

— —

დობრუჯის გენერალურ ბრძოლის დროს რუსის კრეისერები სულ ბულგარეთის სანაპიროებთან ყოფილან და ბულგარეთის სანაპიროებისათვის უშენიათ.

— —

ამას წინად გერმანელთა ასი ჰაეროპლანი საფრანგეთის სამხედრო ქარხნებს დასცემია. მათთვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ ფრანგ ფრინავებს და 25 გერმანული საფრენი ჩამოუგდიათ.

ამის შემდეგ მრავალ რიცხოვანი ფრანგთა საჰაერო ფლოტი გადაფრენილა გერმანიაში და ყუმბარები ჩამოუყრიათ სეინის სამრეწველო რაიონში და სხვათა შორის ესსენის ცნობილ კრუპპის ქარხნებში. ესსენში 25 ხუთი ჰაეროპლანებთან საბრძოლი ზარბაზანი ყოფილა დადგმული. მიუხედავათ ამისა ფრანგ მფრინავებს მაინც ჩამოუგდიათ 12 ყუმბარა.

ბულგარეთის მიერ კავალაში დატყვევებულ საბერძნეთის მე-4ხე კორპუსის ერთი პოლკი ვენაში მისულა.

პოლკის შესახვედრად სადგურზე ვენის კომენდანტი გამოსულა, და ბერძნებს, როგორც მოკავშირეებს მისალმებია და სხვათა შორის უთქვამს, შორს არ არის ის დრო, როცა ბერძნები და გერმანელები ერთად იბრძოლებენ საერთო მტრის წინააღმდეგო. ბერძნულ პოლკის უფროსმა მადლობა გადაუხადა ვენის ქალაქის მოურავს, სტუმართ მოყვარეობისათვის.

— —

პორტუგალიის პალატაში მიუღიათ კანონი, რომლის ძალით კვლავ შემოღებული იქნება სიკვდილით დასჯა.

— —

ბავარიის მეფე ლიუდვიგს სასამართლოს ახალი შენობის დაწყების დღეს სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც სხვათა-შორის განუცხადებია: ომი ჯერ არ გათავდება, ჩვენ ისეთი ზავი გვინდა, რომ გერმანია მოგებული დარჩეს და ჯერ-ჯერობით ეს მოუხერხებელიაო.

— —

„ტაგეს ცაიტუნგში" მოთავსებულია ერთი წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: გერმანიას რუსეთთან ურჩევნია დაახლოვება, რადგანაც ამას მეტი მნიშვნელობაც ექნება და მეტ სარგებელსაც მოგვიტანს ჩვენაო.

პოლონეთის საკითხიც ამისდა კვალობაზე უნდა გადასწყდესო. „ბერლინელ ტაგებლატი" ძალიან აღუშფოთებია ამ წერილს და უპასუხნია გერმანეთს მოსაფერებელი არაფერი აქვს და ამიტომ არც არავის შინაურ პოლიტიკას უნდა შეუფარდოს თავის პოლიტიკაო.

— —

„დეილი ნიუსის" ცნობით ამ რამდენიმე ხნის წინად კოპენჰაგენში ამერიკიდან გამოუწერიათ სხვადასხვა საქონელი 300 ამანათად შეკრული; ეს საქონელი ფოსტით უნდა მიეღოთ; როგორც შემდეგში აღმოჩნდა ამ ამანათებში საქონელთან ერთად სამხედრო მასალების დამზადებელ მანქანების ნაწილები აღმოჩენილა, რომლებიც შემდეგში გერმანიაში გადაუგზავნიათ.

— —

გერმანელები იქადნიან, თუ მოკავშირენი გარემოცვას არ ახსნიან გერმანიას და არ შამოუშვებენ სურსათ-სანოვაგეს, ჩვენ დაპყრობილ ქვეყნების მცხოვრებ ძალით ჩამოვართმევთ სურსათს და არც ნებას მივცემ მოკავშირეებს დაპყრობილ ქვეყნებში პურის შეზიდვისასო.

— —

შვეციაში აქტივისტებმა პროპაგანდა გააძლიერეს. მაგალითად ერთი გაზეთი სწერს: მოკავშირეთა გამარჯვება ზიანს მოუტანდა ევროპას, ყველგან საფრანგეთის კაპიტალი გამეფდებოდა, ინგლისი თავის საქონლით ყველას მრეწველობას წაართმევდა, მხოლოდ რაც შეეხება კერძოდ რუსეთს გაზეთის აზრით რუსეთის პატარ-პატარა ერები მხოლოდ მაშინ ამოისუნთქვენ თავისუფლად, როდესაც რუსეთი დაემხობაო.

— —

მაკედონიის ასპარეზზე მოსულა მაკენზენი და უმეტესი ნაწილი ბულგერთა ჯარისა იქ გადაუყვანიათ.

— —

გალიციის ასპარეზზე გერმანელებს დასავლეთის ასპარეზიდან 700000 ჯარი გადმოუყვანიათ.

სამხედრო მიმოხილვა.

მთავარი ყურადღება ცენტრალ სახელმწიფოებისა გერმანიის მეთაურობით ისევ ბალკანეთისაკენაა მიპყრობილი მდგომარეობა ისეთი შეიქნა, რომ ეს არც გასაკვირველია, მას აქეთ, რაც ომმა ხანგრძლივი ხასიათი მიიღო აშკარა გახდა, რომ ომს ის მოიგებს, ვინც უკედ მოიხმარებს ცოცხალ ძალებს და ბრთხილად დახარჯავს ამ მთავარ მწარმოებელ ძალას ომისას; ამას გარდა დიდი ყურადღება მეომარ სახელმწიფოისა უნდა მიექცეს როგორც ჯარის ისე მცხოვრებთა გამოკვებას და ჯარის სამხედრო მასალით უზრუნველ ყოფა. უამისოდ ომის შესაფერისი წარმოება ყოვლად წარმოუდგენელია საერთოდ და განსაკუთრებით ეხლა, როდესაც „ომი მოწინააღმდეგის დასუსტებამდის" ლოზუნგგ გამოცხადა

ამ მხრით, რუმინიის, გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩარევამ დიდ უხერხულ მდგომარებაში ჩააგდო გერმანია ათასი სხვადა სხვა საჭირო საქონელი, რომელიც წინად რუმინიიდან, თუ მის შემწეობით შეჰქონდა ეხლა უნდა სხვაგან ეძიოს; აქ კი დიდი დაბრკოლებანი დახვდება მას წინ.

ამისთანა მდგომარეობაში გერმანია-ავსტრიისთვის უფრო დიდ საჭიროებას წარმოადგენს ოსმალეთთან თავისუფალ გზის შენარჩუნება. სწორედ ამ მიზნით მოუყარა თავი ჯარს აქ და თავისი საუკეთესო სარდალი მაკენზენიც ბალკანეთის ყელის დასაცავად გამოგზავნა.

მოკავშირეები კი იმის ცდაში არიან, როგორმე სწორედ აქ შეუტიონ მძლედ მოწინააღმდეგეს და მახეში გაბმულ დაწელში გაწყვეტილ მხეცის მდგომარეობაში ჩააგდონ გერმანია. მართლაც, თუ შესძლეს მოკავშირეებმა ავსტრია ოსმალეთის განშორება მართლაც და სატირალი იქნება ცენტრალ სახელმწიფოთა მდგომარეობა.

ოსმალეთისა და ავსტრიის შემაერთებელი „ყელი" სულ რაღაც 300-დე ვერსტის სევერი'საა და ორივე მხრით მიმდგარ მოკავშირეთა ჯარისთვის არ იქნებოდა ძნელი ამ ტერიტორიის გადალახვა მაგრამ გეოგრაფიული პირობები ძალიან უშლიან ხელს მათ ამის სისრულეში მოსაყვანად. ცალი მხრით, თუ გენ. სარაილის ჯარს ტუბისა და მაღალი მთების რკალი აკრავს გარეშე, რუმინიის მხრით ფართე მოქმედებას ძალიან აბრკოლებს მდ. დუნაი; ეს გარემოება კი საქმეს უადვილებს ცენტრალ კოალიციას.

შვერელი.

ქართული პრესა

სწორედ უბედურ ვარსკვლავზეა, გაჩენილი ჩვენი ქვეყანა...

სთხოვ ვისმე რამეს, ღრეჭით გეუბნებიან: ჯერ მზად არა ხართ .. ჯერ ჭკუა და განვითარება გაკლიათო, არა სთხოვ და პირდაღებული უნდა შევყუროთ იმათ, ვინ ამცირებს, ატყავებს და აუბედურებს ჩვენს ქვეყანას!

საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, რომ იტყვიან სწორედ ეს ამას ჰქვიან, უბრალო, დახავსებული 1890 წლის ერობა რა არის, ესეც კი შემურდათ ჩვენთვის!

ბ-მა რჟევსკიმ რუსეთის ლიბერილთა ტიპიურმა წარმომადგენელმა, ამ თავისუფალ მოაზროვნეთა წარმომადგენელმა, რომელთა იმედითაც დღევანდლამდე სულდგმულობდა ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა, ცივი წყალი გადაგვასხა და პირდაპირ განაცხადა.

— თქვენი სურვილს ე. ი. ერობის შემოღების განხორციელებას მე მხარს ვერ დაუჭერო.

არავინ გვათქმევინა, თორემ ჩვენ იმთავითვე ამ აზრისა ვიყავით (და ვართ დღესაც), რომ ყოველივე უფლება ხალხმა თითონვე უნდა მოიპოვოს და არავისგან არაფერს არ უნდა მოელოდეს, თუნდ სახელმწიფოს სათავეში ლიბერალები კი არა, უკიდურესე მემარცხენეები იდგენ!..

ქართველმა ხალხმა თავისი ჭირი და ლხინი თავისის თავის ძალით უნდა მოინელოს დათავისის შეძლებით უნდა განაგრძოს თავისებური ცხოვრება! ..

ამას ნათლად ამოწმებს ბ-ნი ძველი ქართველი გაზეთ ,,საქართველოში'' და რადგანაც სავსებით აღნიშნავს ჩვენს გულის თქმას, ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს გადმოვბეჭდოთ იგი ჩვენი მკითხველების საყურადღებოდაც...

ერობისათვის გამართულ ბრძოლაში ქართველმა საზოგადოებამ სხვადასხვა ეტაპი განვლო და ამის შესაფერისად [illegible] გამოიცვალა. დასაწყისში [illegible] საერობო თათბირის დასკვნის [illegible] ედირსა. საზოგადოება მოითხოვდა დემოკრატიულ ერობას, იმაზე ბევრად უკეთესს რომელიც რუსეთში ირსებობდა.

მთავრობამ, რასაკვირველია, ეს არ შეიწყნარა. მან კარგად უწყოდა ქართველი საზოგადოების სულიერი განწყობილება მოძრაობისა და მის შემდეგ პირველ ხანებში, და მოისურვა ამ მდგომარეობის გამოყენება საერობო რეფორმების დასაგვიანებლად. თუ წინად ჩვენი მოუმზადებლობა მოჰყავდათ ჩვენში ერობის შემოუღებლობის მიზეზად, ეხლა ამის მიზეზად დემოკრატიული სულისკვეთება გადაიქცა. რუსეთის ერობაზე უკეთესს ერობას აბა როგორ მოგვცემდნენ. ცხადი იყო რომ მთავრობა მიზეზებს დაეძებდა. თავის ინიციატივით რაც ჰქონდა იმას არ იძლეოდა, ხოლო საზოგადოების მონაწილეობით დამუშავებულ ტიპის ერობას მეტის-მეტ დემოკრატიულად სთვლიდა და ამის გამო არც იწყნარებდა. ქვეყანას ძველებურად პოლიციის აბსოლიტურ უღელ ქვეშ სული ამოსდიოდა, იმ დროს როდესაც რუსეთის გუბერნიები საერობო თვითმართველობის საშუალებით საკუთრივ აგვარებდენ თავიანთ ცხოვრებას. ამავე დროს ერობის საჭიროება უფრო და უფრო საგრძნობელი ხდებოდა ფართე საზოგადოებაში. ამ ბრძოლის პროცესში ქართველი საზოგადოება გამოიცადა და დღეს, როდესაც დიდმა მთავრობამ საერობო თათბირზე თათბირზე მიიწვია,იგი უპრეტენზიოთ მოითხოვნით, წარსდგა. ჩვენშიც ის ერობა შემოიღეთ რომელიც რუსეთში გაქვთო. საზოგადოებამ მოითხოვა 1890 წლის ერობა, ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებულ ცვლილებებით. მიზანი აშკარაა.

ამ პოზიციით საზოგადოებას სურს მთავრობას ხელიდან გამოაცალოს ყოველგვარი საბუთი, ჩვენში ერობის შემოღების დასაყოვნებლად. ჩვენგან მოთხოვნილი ერობა უკვე ლეგალური სინამდვილეა, რუსეთში მას მთელი ორმოცი წლის კანონიერი არსებობა აქვს. ამ ერობის საჩქარო შემოღებას წინ არაფერი უდგას, თუ მთავრობას გულწრფელად სწადია მისი მოღება. ამის წინააღმდეგ ვერც სახელმწიფო საბჭო წავა.

აქამდის თუ ეგზამენს ჩვენ გვაშინებდენ და ჩვენც გვცდიდენ, ეხლა თვით საზოგადოებამ მოისურვა მთავრობის გამოცდა. თუ მთავრობასა და საკანონმდებლო დაწესებულებას სურს, რუსის ხალხთან ჩვენი გათანასწორება საერობო რეფორმების მხრივ, მას არაფერი არ აბრკოლებს, რადგან ჩვენ სწორედ მათგან შეწყნარებულ ერობას მოვითხოვთ, ეს პოზიცია ყველამ შეიგნო. ამ უხეირო ერობას და თვითმართველობას ყველა პოლიციის ბატონობაზე უფრო მაღლა აყენებს, ეს არის მიზეზი, რომ უკიდურესი მიმართულებანი ჩვეულებრივ განგაში არ ეწევიან ამ საჭირო რეფორმის წინააღმდეგ. თუ წინეთ პეტარდებითა და რევოლვერებით ობსტრუქციებს მართა-

მეცნიერებიდან.

ციებ-ცხელების ანუ მალარიის ბიოლოგია.

(წერილი მეორე)

მეცნიერება გვაცნობს ჩვენ, როგორც მრავალ უჯრედიან ცხოველების ბიოლოგიას, მაგალითად: ადამიანისას, ორფეხ და ოთხფეხისას და სხვ. ისე ერთ უჯრედიანისას. უკანასკნელს უწოდებენ პროტოზოას.

ზოგი მათგანი მავნებელია ადამიანისათვის, ზოგი არა. მავნებელი—იბუდებს სხეულში, იკვებება მისი წვნითა და სისხლით, თანაც სწამლავს და ხრწნის სხეულის ქსოვილებს გამომუშავებულ საწამლავით და ამიტომაც ამ პროტოზოას უწოდებენ პარაზიტს, ე. ი სხვისი ნამუშავრით მასაზრდოებელს...

ვრცელდება ორ ნაირათ: ერთმანეთთან შეუერთებელათ, თანდათანობით დაყოფით. (почкованіе) და შეერთებითაც, ე. ი. უჯრედები და უჯრედის ბირთვილი ერთმანეთს ეულლებიან და მერმეთ იყოფიან რამოდენიმე ახალ მთლიანათ. (копуляція) ე ი. პარაზიტები სცოცხლობენ ადამიანის სისხლის გამტარებელ ძილებში და ხდებიან მიზეზათ მალარიით დაავათმყოფებისა.

სიტყვა მალარია წარმოსდგა იტალიანურ სიტყვისაგან, Mal-aria, ნიშნავს ცუდ ჰაერს. ეს ავათმყოფობა ძველითგან ცნობილია, აღწერილია ეგვიპტის პაპირუსებში და სამეცნიერო არხეოლოგიურს თხზულებებში (კარაბადინებში).

ბერძნების ფილოსოფოსი ჰიპოკრატი აგვიწერს სხვადასხვა ჯურის მალარიას; უფრო გარკვეული ნამუშევარი აქვს მორტონს და გორტონს.

1840 წლიდან ამ ავათმყოფობის საწინააღმდეგოთ გამოიგონეს ქინა-ქინი.

თითქმის ეს სენი მთელ დედამიწის ზურგზეა გავრცელებული, ვიდრე ჩრდილოეთ ქვეყნებისა. რუსეთის იმპერიაში ავათმყოფთა რიცხვი წლიურათ ადის ხუთ მილიონამდე.

ჩვენ მხარეს, კავკასიას, ხომ პირველი ადგილი უჭირავს ამ მხრით.

ციებ-ცხელება უფრო ფეხს იკიდებს ისეთ ადგილებში, სადაც ჭაობებია, დიდი სიცხის დროს შრება ნიადაგი და დგება ჰაერში მძიმე ჭაობის ცუდი სუნი, Malarja; —ამისათვისაც წინეთ ამ სენით დაავათმყოფების მიზეზათ ასახელებდენ ცუდ ჰაერს. მაგრამ ხანგრძლივმა ბაქტერიოლოგიულმა მუშაობამ გამოაკვლია ავათმყოფობის მრავალგვარი აღმძვრელი მიკრობი, და მეცნიერები იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ციებ-ცხელებასაც უნდა ჰქონდეს რამე აღმძვრელი ბაცილებიო და მოკიდეს ხელი მის შესწავლას. კლებსმა და კრუდელმა ნახეს და აღწერეს რაღაც მალარიის აღმძვრელი ბაცილა დამდგარ ჭაობში.

1880 წლამდის ამაზე წინ ამ დარგში მეცნიერება არ წას·ლა, მხოლოდ ამავე წელს, ლავერანმა ნახა ერთგვარი პარაზიტი ციებიანის სისხლში.. ოთხი წლის შემდეგ ლავერანს გამოეხმაურა მარშიაფავა და ცელლი. აი მათი გამოკვლევა: შეუშხაპუნეს ციებიანის სისხლი (ხორცსა და კანს შუა) ჯან-საღ ადამიანს, უკანასკნელი გახდა ავათ მალარიით და სწორეთ ამ ავათმყოფის სისხლში ნახეს ლავერანის აღმოჩენილი პარაზიტი.

მოლგიმ პირველად დაამტკიცა, რომ ციების აღმძვრელი პარაზიტი 48 საათში ათავებს თავის თანდათანობით დაყოფას.

მეჩნიკოვმა ეს პარაზიტი ჩათვალა სპოროზოათ.

მალარია არის სამ დღიანი, ოთხ დღიანი და ტროპიკული. პარაზიტის პოვნაში ანალიზის დროს, პირველი ადგილი დაიკავა რომანოვსკის საღებავმა, რომელიც მერმეთ დაამუშავა გიმზამ.

ამ წამლით დამუშავებული წითელი სისხლის სორსლები (ბურთები) იღებება ვარდის ფრათ, პრტოპლაზმა პარაზიტისა მტრედის ფრათ, ბირთვილი კი წითლათ, თეთრი სისხლის სორსლები იღებება ლურჯათ.

გარეგნული შეხედულება პარაზიტს აქვს სხვადასხვა ნაირი. მაგალითად: ახალი ჰგავს რგოლებს, ახალი ჭთავარს, ძველი კი თუთას და სხ.

პარაზიტი სისხლში მოძრაობის უნარს არ კარგავს, შეციების დროს იყოფა თითო რამოდენიმე რგოლებათ და ხდება ახალ მთლიანათ და ამ დაყოფის დროს არის რომ შორდება მომწამლელი თვისების მომგვრელი რამ, ამ დროს ავადმყოფს შეაცივებს ჯერ აკანკალებს და მერმე სიცხეს მისცემს. დიდი სიცხის დროს ჩვენ ვნახულობთ ავადმყოფის სისხლის წითელ სორსლებში მალარიის პატარ-პატარა რგოლებს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სიცხე ერთბაშათ დავარდება ნორმამდის. პარაზიტის რგოლი თანდათან იზრდება სისხლში და მომთავრების შემდეგ ხელ-მეორეთ იყოფა. კიდევ მეორდება შეციების და სიცხის მომატების პროცესი, რადგან ერთი იყოფა რამოდენიმეთ და ასე ხდება, სანამ რამე რადიკალური საშუალება არ მოუღებს ბოლოს ამ სენს.

გამორკვეულია, რომ ტროპიკული და სამი დღის მალარიის პარაზიტის თანდათანობითი დაყოფა მთავრდება 48 საათში ოთხ დღიანის კი 72 საათში.

ცხოველებში ამ სენით მხოლოდ ფრინველები ხდებიან ავათ, ეს გამოარკვია დანილევსკიმ და ამისათვის დაარქვა ამ პარაზიტს ფრინველის პროტეოზომა.

ადამიანსაც და ფრინველსაც ციებ-ცხელება ემართება ერთგვარ კოღოსაგან, პირველს უწოდებენ კულექს და მეორეს—ანოფელეს. ამ უკანასკნელს აქვს ადამიანის მალარიის გადატანის თვისება, რომელიც სცადა როოხმა ინდოეთში მუშაობის დროს. სხვებმაც დაადასტურეს შემდეგის გამოცდით. ჭაობიან ადგილებში დაჭერილი კოღოები წამოიყვანეს კარგ ჰავიან მხარეში, შეუშვეს ოთახში, სადაც მოთავსებული იყო ჯან-საღი ადამიანი, რომელიც ამ კოღოსაგან დაკბენის შემდეგ, დაავათმყოფდა ამ სენით.

კოღოს „ანოფელეს" აქვს ფრთებზე შავი წერტილები, რომელიც უბრალო თვალითაც დაინახება

როდესაც ზის რამეზე, სწორათ არის დასობილი თავით ძირს და იმ ხაზს რაზედაც ზის უკეთდება წვეტიანი კუთხე. (образуетъ острый уголь).

კვერცხების დადება იცის ჭაობიან ადგილში, კვერცხიდან იჩეკება პატარა ჭიები, მერმეთ გარშემო აბრეშუმის ჭიასავით იხვევს ძაფს, კეთდება პარკი, საიდანაც რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოფრინდება პეპლათ. იკბინებიან და სწოვენ სისხლს მხოლოდ დედლები, მამლები არ არიან საშიში, ისინი მცენარეებით იკვებებიან.

მრავლდებიან გაზაფხულზე და ზაფხულში, სამი-ოთხი კვირის განმავლობაში. ზემოდ აღნიშნულ მალარიის გარდა არის კიდევ სხვადასხვა ჯურის ციება, მაგალითად, ჩვენში ჩუმ ციებას რომ ეძახიან, ზოგს ტანზე გამოყრის და ნერვების სხვადასხვა ავათმყოფობას გვრის, ზოგს დამბლაც მოსდის და სხვ.

ჩვენში, „კავკასიაში" ამ სენით ასში ერთი—ორი კაცი კვდება; ზოგს ეს ავათმყოფობა ისე ასუსტებს, რომ სხვა ავათმყოფობას ნიადაგს უმზადებს და ადვილათ ვერ იტანს.

როდესაც ამ ავათმყოფობით მკვდარი ადამიანი გაუჭრიათ, ძალიან სისხლნაკრულობის გარდა, უნახავთ პარაზიტებით სავსე გასივებული ტყლიპიც.

ტვინის წვრილი ჭურჭლები ხანდახან ისე ივსება ამ პარაზიტებით, რომ ველარ უძლებს და სკდება, შედეგი ასეთ მოვლენისა არის ხოლმე დამბლა.

საუკეთესო საშუალება ამ სენის საწინააღმდეგოთ არის ქინა-ქინი, რომელიც სწამლავს პარაზიტს. მხოლოთ დიდებმა უნდა მიიღონ ერთ გრამამდის 5—6 საა-

ვდენ საერობო თათბირის წინააღმდეგ, თუ წინად ჩვენი დასელები ყოველის მხრიდან ასობით საპროტესტო წერილებს აწერინებდენ სოფლისა და ქალაქის თანამოაზრეთ და იარაღის გარჩევაში არ შედიოდენ ხალხის ასამხედრებლად ისეთი ერობის წინააღმდეგ, რომელიც მათ აბსოლუტურ დემოკრატიზმის ფორმულას სავსებით არ ანხორციელებდა, დღეს სამაგიეროდ სამაგალითო ტაქტით და და თავდაჭერით იქცევიან. ვინც ქართველ დასელების ბრძოლის ხასიათს და ზნეს იცნობს, ის არაფრად არ ჩააგდებს იმ ორიოდე საგაზეთო წერილს, რომელიც წელს იწერება კავკასიის საერობო თათბირის უმრავლესობის მიერ მიღებული ერობის წინააღმდეგ. მართლაც, შეუძლებელი იყო, რომ სრულიად უპროტესტოთ ჩაეტარებინათ 1890 წლის ერობა. დიდი ლოზუნგებისა, აბსოლუტურ დემოკრატიზმისა და მაღალი პრინციპების ქადაგების შემდეგ, ცხადია, რომ საქვეყნოდ, გაზეთის ფურცელზე, ამ ერობას ვერ დაიცავდენ.

მაგრამ პრაკტიკული საჭიროებისათვის ანგარიშის გაწევამ, რომ ჩვენი დასელები ამ შემთხვევაში შეურიგებლობის ტაქტიდან ჩამოიყვანა და გაზომიერა, ამაში იჭვის შეტანა შეუძლებელია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მათი თავდაჭერილობა იმ კრებაზედ, რომელზედაც ბ-ნმა რჟევსკიმ კავკასიის ერობის შესახებ თავისი აზრი და შეხედულობა გაუზიარა თბილისის „საზოგადოებას. ამ კრებაზე, სადაც თავისუფალი ლაპარაკი შეიძლებოდა, ქართველი დასელები კამათში არ ჩარეულან და არც ერთი საშუალებით არ ცდილან ან გაენელებინათ, ან ხელი შეეშალათ იმათთვის, ვინც უმრავლესობის პოზიციას იცავდა.

კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინა ბ ნ კიტა აბაშიძემ იმ მიმართულების სავალდებულო და საპროგრამო დემოკრატიულ პრინციპებისადმი, რომელსაც იგი ეკუთვნის. თავის მშვენიერ სიტყვაში მან მტკიცედ და დიდის ხელოვნებით დაიცვა უმრავლესობის ერობა.*)

ამ გვარად 1890 წლის ერობის გარშემო მოხდა გაერთიანება ქართველ საზოგადოებრივ აზრისა, არა იმიტომ, რომ იგი ერობა ან სრულყოფილად, ან უნაკლულოდ მიაჩნდეს, არამედ იმიტომ, რომ იგი რუსის მთავრობისა და საკანონმდებლო დაწესებულებებისაგან იმაზე უკეთეს ერობას არ მოელის, რაც დღეს რუსეთში არსებობს. რაც გინდა იყოს ეს ერობა თვითმართველობის საფუძველს მაინც მისცემს ჩვენს ქვეყანას და პოლიციის ბატონობას და ჩარევას ჩვენი ცხოვრების ყოველს დარგში რამდენიმეთ მაინც გაანელებს. 1890 წლის ერობას ქართველობა წმინდა პრაქტიკულის მიზნით მოითხოვს.

---

*) ეს მშვენიერი სიტყვა დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში. **რედ.**

თით წინ შეციებამდის, ე. ი. სანამდის დიდი პარაზიტი პატარეებათ დაიწყებდეს დაყოფას. იყოფა თითო რვიდან ოცდა ოთხამდის.

რამდენათ ადამიანის სხეულში ცოტა არის ეს პარაზიტი, იმდენათ ადვილი მოსარჩენია. ავათმყოფი-ადამიანის სხეულში სისხლის წითელი ბურთები მილიარდობით მოიპოვება.

დამპალი ციებ-ცხელების დროს ხმარობენ თავის შაქარს, რასაკვირველია შესაფერ ზომით, ქინა-ქინს, უკეთებენ ტყლიპის ელექტრონს და ცივ წყალში აბანებენ.. სამ დღიან ციებაზე საუცხოვოთ მოქმედებს ერლიხის 606-სი და მეტილის ლილა.

თუ გინდათ რომ ზაფხულში ამ სენით, არ გახდეთ ავათ ზამთარში ავათმყოფს უნდა ასვათ ქინა-ქინი და კოღოების გამოჩეკის დროს თუ ციებიანი არ დაკბინეს ველარავისზე გადაიტანენ ამ სენს და არც ავათ მყოფობა იქნება.

საჭიროა ჭაობიან ადგილებში მცხოვრებმა ჯანსაღებმაც მიიღონ ქინა-ქინი ოთხ გრანამდის.

ზევით მოყვანილი საშუალება ბევრს გამოჩენილ მეცნიერსა აქვს ნაცადი. მაგალითად კოხს ახალ გვინეიაში და სანლუისში.

მეჩნიკოვს ასტრახანის გუბერნიაში და სხვებს.

გვინკიაში ასეთი საშუალებით სულ მოისპო მალარია.

კოღოსაგან შემდეგ ნაირათ შეიძლება კაცმა თავი დაიცვას:

უნდა ამოვჭრათ ჭაობები, მოიზვინოს ქვიშით და თუ ეს არ მოხერხდება, საცხოვრებელი სახლები მოვაშოროთ ამ ადგილს. თუ რამე მდინარე ჩამოდის და კიდეები ჩანგრეული და ჭაობიანი აქვს, უნდა ამოშენდეს კიდეები ქვიტკირით, კარგია აგრეთვე დაირგას ხეები, რომელიც სწრაფათ იშრობს ნიადაგიდან სინესტეს მაგ. ეუკალიპტის ხე და სხვ.

კოღოს კვერცხების მოსასპობლათ დამდგარ წყალში ხმარობენ ნავთს, რომელიც წყალს არერევა, ზევით ტივტივებს და ჭიებს საშუალებას უკარგავს ჰაერით სუნთქვას და იხოცებიან.

ამ სენთან საბრძოლველათ; როგორც მთავრობამ, და ფართო საზოგადოებამ, ისე კერძო პირებმა კავშირი უნდა შეჰკრან და სპეციალისტების დახმარებით გააცნონ ხალხს საბრძოლველი საშუალებანი. თანაც კარგი ხარისხის ქინა-ქინი მუქთათ დაურიგონ ჭაობიან ადგილებში მცხოვრებთ. სასტიკი კონტროლი გაუკეთონ ზოგი საწვრილმანო მაღაზიებს სადაც ქინა ქინის მაგივრათ ყიდიან ცინქონინს. ხალხიც სვამს მაგრამ არაფერსა რგებს, თუმცა გარეგნული შეხედულება და სიმწარე ქინისა აქვს.

აი ესეთი ენერგიულის ბრძოლის შემდეგ ჩვენშიდაც ისე მოიკლებს მალარიით ავათმყოფთა რიცხვი, როგორც იტალიაში, სადაც დიდი ხანია აქვთ მოწყობილი ასეთი ორგანიზაცია.

მიხ. ფარცვანიძე.

ველური საქციელი.

დეპეშა.

ოზურგეთი.

„სამშობლოს“ რედაქციას.

ქალაქის მოურავად ნამყოფი და ეხლა კი საურთიერთო ნდობის ბანკის თავმჯდომარე ალმასხან კალანდაძე ძალიან უკმაყოფილო დარჩენილა თქვენი გაზეთის № 437 და 439 მოთავსებულ კორესპონდენციით ოზურგეთიდან და იმის მაგივრად, რომ უარ ეყო კორესპონდენციაში აღნიშნული ბრალდებანი და თავი გაემართლებინა საზოგადოების თვალში, წინასწარი განზრახვით უკანიდან მიეპარა თქვენი გაზეთის კორესპონდენტს გიორგი მუმლაძეს და რამდენჯერმე ჯოხი დაჰკრა თავში და სამ ალაგას გაუტეხა. ბ-ნი მუმლაძე საგრძნობლად არის დაშავებული.

—

რედაქციისაგან: იმ ვერაგობას და საქციელს, რომელსაც ბ ნ ალმასხან კალანდაძეს ჩაუდენია განმარტება აღარ სჭირია! რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს კალმის უშიშარ მუშაკს ბ-ნ გ. მუმლაძეს და მოუწოდებს საზოგადოებას თავისი მსჯავრი დასდოს ბ ნ კალანდაძის მოქმედებას!

იმედი გვაქვს, რომ თვით ქართველი საზოგადოება დაგვიცავს კალმოსნებს ასეთ დაუმსახურებელ შეურაცხყოფისაგან, თორემ, აბა რასა ჰგავს, ბატონებო, ასეთი ველურობა?!...

განა შეიძლება მუშაობა და ცხოვრება ისეთ წრეში, სადაც ჩვენი დუხჭირი ცხოვრების მემატიანეს ჯოხით უმასპინძლდებიან? განა იმიტომ გამოდის კაცი დოსტაქარად ჩვენის დახავსებულის ყოფნისა, რომ მერე საჯაროდ შეურაცხყოფილ და დამცირებულ იქნას პრესისა და ხალხის ერთგული მოსამსახურე?

ვიმეორებთ: იმედი გვაქვს, რომ ქართველი ხალხი მოსთხოვს ბ-ნ კალანდაძეებს პასუხს, ხოლო გიორგი მუმლაძეებს ზნეობრივად გაამხნევებს და შეჰქმნის ისეთ პირობებს, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს ასეთ სიმხეცეს და მთელი ქვეყნის თავის მომჭრელ ამბებს!

იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ კერძოდ, ოზურგეთის საზოგადოება ხმას აღიმაღლებს და დაადასტურებს ბ-ნ გ. მუმლაძის სიმართლის მოყვარეობას.

რედ.

ახალი ამბავი.

◆ 18 ამ თვეს გაიხსნა ქუთაისის ქართული თეატრის სეზონი. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო და მოუთმენლად ელოდა ფარდის ახდას. წარმოდგენა სუსტი გამოდგა, რაც უფრო აიხსნება პიესის უვარგისობით. რეცენზია ხვალ.

◆ დღეს ქუთაისის ქალაქის თეატრში იტალიის ოპერის ცნობილი მსახიობი ქალ. კარმენ სოლიარი კონცერტსმართავს ბ-ნ ბერნადისა და ნემეტის მონაწილეობით.

◆ 21 სექტემბერს ვაჟთა გიმნაზიის შენობის დარბაზში მოხდება კერძო კრება ამავე გიმნაზიის დირექტორისაგან მოწვეულ მასწავლებელთა. თათბირი საქალებო გიმნაზიის მერვე კლასში სწავლების რეორგანიზაციას შეეხება.

◆ 18 სექტემბერს პუშკინის ქუჩაზე მეეტლემ ჩხუბის დროს ორ ჯარის კაცს რკინის კეტით თავი გაუტეხა. საზოგადოდ მეეტლეების თავგასულობას საზღვარი არ აქვს.

თბილისი.

— ბ. სპირიდონ ლავრენტის ძე ხუროშვილმა 100 მ. შესწირა ქართველ ქალთა პრაკერვის სასწავლებლებს.

— ქალაქის ლაზარეთში კვლავ მოყავთ დღეში ოთხი ხუთი ხოლერიანი.

— წარმოუდგენელი პურის სიმცირეა თბილისში. ქალაქის ფქვილი არ მიაქვს მეფურნეებს, რადგანაც ეძვირებათ და ნიხრის მომატებას მოითხოვენ, ხალხი კი აუწერელ გაჭირვებას განიცდის. მთელი დღე ფურნეების წინ პურის მოლოდინში ხალხის ბრბო დგას და არის ერთი თავპირის მტვრევა და უწესობა.

— ღვინობისთვის შუა რიცხვებში მოსკოვში დანიშნულია ჟურნალისტების ყრილობა. ყრილობაზე სხვათა შორის წაკითხული იქნება მოხსენებანი ადგილობრივ პრესის: რუსულ, სომხურ ქართულ და თათრულ პრესის მდგომარეობის შესახებ.

— 16-ს ეკენისთვეს, ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელს ეწვია უსამღვდელოესი ეპისკოპოზი ერევნისა დამიანე. მათი მეუფება დაესწრო გაკვეთილებს უფროს კლასებში. შემდეგ დარბაზში ერთად თავმოყრილ მოწაფეებს მგრძნობიარე სიტყვით მიჰმართა და სხვათა შორის მამაშვილურად ურჩია, მთავარი ყურადღება მიაქციონ გალობის შესწავლას და მის ხალხში გავრცელებას, რადგანაც ამ სასწავლებლიდან გამოდიან აღმზრდელნი, მასწავლებელნი და მომავალი მუშაკნი სახალხო განათლების ასპარეზზე.

ბოლოს დაათვალიერა მთელი სასწავლებელი და კმაყოფილი გამოეთხოვა მოწაფე-აღმზრდელთ.

— რედაქციამ მიიღო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისაგან გამოცემული ს. იაშვილის ორი წიგნი 1) მოკლე სახელმძღვანელო საზოგადო გეოგრაფიისა; აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია. ფასი 90 კ.

2) მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა, ნაწილი მეორე, მცენარეთა სამეფო (ბოტანიკა) ფასი 50 კ. ორივე წიგნი კარგ ქაღალდზედ არის დაბეჭდილი მრავალ სურათებით.

დღევანდელ კონცერტის გამო.

დღეს ქალაქის თეატრში შესდგება ფრიად საინტერესო კონცერტი გამოჩენილ იტალიელ არტისტ-ქალისა კარმენ სოლიარის. ამ მომღერალ ქალს საუცხოვო მაღალი ხმა აქვს (სოპრანო) და ამავე დროს იშვიათი მუსიკალური მომზადება. ამას წინად თბილისის არტისტულ საზოგადოების დარბაზში ქ-ნმა სოლიარიმ გამართა კონცერტი სიმფონიური ორკესტრის აკომპანიმენტით და მისმა გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენლებზე. სოლარის მიართვეს საჩუქრები და დიდი ვაზა ვარდებით.

თბილისის საიმპერატორო მუსიკალური შკოლის დირექტორი ბ-ნი ნიკოლაევი (ცნობილი პიანისტია) ისე იყო აღტაცებული სოლარის გალობით, რომ მისცა წინადადება, ეკისრა მასწავლებლობა მისდამი რწმუნებულ შკოლაში, მაგრამ სოლარიმ უარი განაცხადა. ნიკოლაევის აზრით, ქ-ნი სოლარი იშვიათი ხმის პატრონია, იგი მშვენიერად მღერის როგორც ლირიკოკოლორატურულ ისე დრამატიულ პარტიებს.

ქ-ნ სოლართან ერთად იმღერებს ბარიტონი ბერნარდი, რუსეთის საიმპერატორო თეატრების ცნობილი არტისტი. აკომპანიატორათ მოწვეული თბილისში განთქმული პიანისტკა—ქალი ნემეტი. გულწრფელად ურჩევ ყველას დაესწროს ამ კონცერტს; იმედი მაქვს, რომ ყოველი დამსწრე იგრძნობს ნამდვილ ესტეტიურ სიამოვნებას. გარდა ამისა ადგილობრივ საქველ-მოქმედო საზოგადოებასაც გაუწევს დახმარებას, ვინაიდგან ნახევარი შემოსავალი ამ საზოგადოებას გადაეცემა.

ალ. გ-დი.

სადღეისო.

დადგა შემოდგომა და ბავშებიც გაუდგენ სასწავლებლისაკენ.

ბევრი მათგანი აღტაცებული ეგებება სასწავლო წლის დასაწყის, ბევრი კი დამწუხრებული, თვალცრემლიანი ხვდება მას, და აწითლებული თვალები მათი მოწმობენ, რომ მათ რაღაც აწუხებთ.

რა აწუხებს მათ, რად არ უხარია ბავშს სწავლის კვლავ განგრძობა?

ეს ითქმის როგორც ვაჟთა, ისე ქალთა სასწავლებლების შესახებაც.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ოჯახიც დიდად დამნაშავეა ბავშების წინაშე, ვინაიდგან ჩვენს ოჯახებში ბავშების აღზრდა ვერ არის დაყენებული შესაფერ დონეზე. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას,—რომ ბავშებს პირველადვე ჩვენვე ვლუპავთ, ჩვენვე უნერგავთ გულში ისეთ მცნებებს, რომელიც მხოლოდ აზარალებენ მათს ნორჩ არსებას.

ბავში სასწორს მიაგავს: რომელ მხარესაც დასდებთ მეტ სიმძიმეს, იმ მხარეს გადაიხრება ბავში ეს, გაუმაგრებელი სათუთი მცენარეა, რომელსაც საითაც გადასწევ იქით გადაიხრება. ბავში ერთით tabula raza—სუფთა დაფაა, რომელზედაც თვით ცხოვრება აწერს შემდეგ თავის ასოებს.

დიახ ჩვენ ოჯახსაც მიუძღვის დიდი დანაშაული, მაგრამ ვიკითხოთ: რა არის მიზეზი, რომ ერთ დროს გვყავდა ოჯახი აღმზრდელი ბავშისა და დღეს კი გვყავს ოჯახი, დამამახინჯებელი თავის შვილებისა? მიზეზი ერთად ერთია: არა ბუნებრივი მდგომარეობა ჩვენის ერისა, ჩვენის ქვეყნისა. ქართველმა ხალხმა დაჰკარგა ძველი წესი აღზრდისა და ახალმა კი იგი გადაგვარების გზაზე დააყენა. ჩვენი დედმამა და მათი მამა-პაპაც აღზრდილნი არიან იმ წესით, რა წესითაც იზრდებიან დღეს ჩვენი შვილები.

სიმართლეს პირდაპირ შევხედოთ თვალებში და გულახდილად ავღიაროთ, რომ ჩვენი და ჩვენი შვილების ,,ამშენებელი'' არის იმ ტიპისა და წესის სასწავლებელი, სადაც გავიზარდეთ ჩვენ და სადაც იზრდებიან ჩვენი შვილებიც.

საჭიროა მშობლიური სკოლა, საჭიროა ბუნებრივი განვითარება ადამიანისა, ჩვენ კი ,,დიპლომი'' ყველაფერს გვავიწყებს და ყოველგვარ დამცირებასაც ვიტანთ ამ ოხერი დიპლომისათვის.

ხოლო როცა შენი შვილი დიპლომს მიიღებს, შენც კმაყოფილი ხარ შენის ბედისა და მასწავლებლებიც. შენ,—იმიტომ რომ ნასწავლი შვილი გყავს და მასწავლებელი კიდევ იმიტომ რომ „სტატკი სოვეტნიკი“ შეიქნა შენი ბავშის სწავლების გამო; რაღა გიჭირთ, რაღა უჭირს მათ: შენ, შენ იკითხე თორემ. გიკითხავს ოდესმე შენი ნასწავლი შვილისათვის, ან შენი თავისათვის, თუ ამ „ძვირფას“ სასწავლებელში, სადაც შენი შვილი სწავლობს, (ქართველი, ეს არ დაგავიწყდეს,) რატომ ხდება ამ სასწავლებელში, რომ რუსული, ლათინური, (რომელიც რვა წელიწადი ისწავლა შენმა შვილმა და მაინც არაფერი გაეგება მისი,) გერმანული გაკვეთილი და სხვა, კვირაში 6-ჯერ არის (მეტი საქმის დღე არ არის კვირაში), და შენი დედაენა ქართული, რომელმაც აღგზარდა, რომელიც გასაზრდოვებს, ის კი, ან სულ არ არის, და თუ არის 2—1-ჯერ კვირაში, ისიც უკანასკნელი გაკვეთილი, როდესაც შენი შვილის ტვინი დაღლილა, გამოულაყებია ლათინურს, და ისიც გინდ ისწავლე, გინდ არა, [illegible] არა, ჩემო მკითხველო. ამაზე არ შეგი[illegible] წუხებია თავი; უკანასკნელ [illegible] ხდი, იქნებ შენც ამ რუსულით, საზრდოვებ, იქნებ შენც მით გაკრავს ტემლაკები მხრებზე.

* * *

ამიტომ მე რამოდენიმე მაგალითს მოვიყვან სხვადასხვა სასწავლებლებიდან, რასაკვირველია, არ დავასახელებ არც სასწავლებლებს, არც მათ უფროსებს და არც მასწავლებლებს; რატომ, შენც კარგათ იცი? იმიტომ რომ მეცა მყავს ბავშები, დები, ძმები და სხვა, რომელთაც, თუ დავასახელე პიროვნებანი, ან სასწავლებლები, ხვალვე ამოკრავენ პანღურს და მშვიდობით მერე: ჩემი გვარისა ვერავინ ფეხს ვეღარ შეყოფს იმ სასწავლებელში და მე კი, მადლობა ღმერთს, კარგი ხანია გავასწორე მათთან ანგარიშები.

ავიღოთ ქალთა ერთ-ერთი სასწავლებელი. ამ სასწავლებელში პირველი კლასიდან სწავლობდა ერთი მოწაფე—ქალი. ამ მოწაფეს პირველი კლასიდან დაწყებული მეექვსემდის არავინ არ ემდურის. რამდენათაც შესაძლოა დღევანდელ პირობებში მაცადინობა, ისიც არ რჩება თავის ამხანაგებს და განაგრძობს სწავლას. ყოფაქცევითაც მადლიერნი არიან მისი. დადგა მეექვსე კლასი. პირველი დღიდანვე ეს ბავში სრულიად იცვლება. ეშმაკობს, არ სწავლობს; საგნებში ორები, ყოფაქცევაში ოთხი. რა მოხდა, რა ამბავია? რა ელდა ეცა ამ ბავშს? ხშირად იბარებენ ამ ბავშის მშობლებს. ჩივიან, რომ ბავში აუტანელი ყოფაქცევის შეიქნა, ეშმაკობს და სხვა. ეკითხება მშობელი: რაში გამოიხატება მისი ეშმაკობა, ცელქობა?

იცი, რა ყოფილა? თურმე თქვენი ბავში დასვენების დროს იღიმება, იცინის სხვა ბავშებთან ერთად, ცელქობს. ამიზა აიკლეს ყველაფერი. ამიტომ დასწერეს მას ყოფაქცევაში ოთხი. წინათ არ იყო ეს ბავში ასეთი?

ეჰ, რომ ამოიღეს თვალში, ვინც რა უნდა დააშავოს, ეცემიან ამ ბავშს.

„ტურამ ქვეყანა დაჰქცია და მგელს ტყავი გააძვრესო“.

ეკითხება მშობლები ამ ბავშის ამხანაგებს, რას ჩადის ჩემი ბავში ასეთს; მოწაფეები ამბობენ; არაფერს, მხოლოდ აუტანელი კლასის დამრიგებელი გვყავსო. უბრალო რამეზე აეშლება ნერვები, მოვარდება და ორ-ორ საათს გვტოვებს უსადილოდო ასეთი შემთხვევა იყოვო, მასწავლებელი, როცა გაკვეთილებს ხსნიდაო, კლასის დამრიგებელმა ენა გამოუყო მასწავლებელს ისე, რომ ამ უკანასკნელს არ დაუნახავსო. მოწაფეებს ამაზე სიცილი შესკდათ, მოდგა ეს კლასის დამრიგებელი და უფროსთან დაასმინა მოწაფეები. ასეთი რამ უთხრეს ბავშებმა უდანაშაულოდ დასჯილ ბავშის მშობლებს. დამნაშავეა კლასის დამრიგებელი, და მოწაფეები კი ისჯებიან!! აღზრდაა, მაშ რა ჯანდაბაა!

როგორ ფიქრობ მკითხველო, ასეთი კლასის დამრიგებელი იმოქმედებს თუ არა მოწაფის სწავლაზე. რასაკვირველია!

ინ—შანი.

(დასასრული იქნება.)

კიტა აბაშიძის სიტყვა.

წარმოთქმული სახალხო სახლში 14 სექტ.

ბატონებო! მე მსურს ჩემი სიტყვა დავიწყო ერთ უკანასკნელ ორატორის შენიშვნის გამო, არა იმიტომ, რომ ბ. შახატუნის სიტყვა ერთი უკანასკნელთაგანი იყო, არამედ იმიტომ რომ იგი შეეხო ერთ ფრიად მწვავე საკითხს, რომელსაც „საერობო თათბირთანა“ აქვს კავშირი. მოგეხსენებათ რა აყალმაყალი ასტეხა რუსულმა პროგრესიულმა ჟურნალ გაზეთობამ იმ „საერობო თათბირის“ გამო რა ცილი დაგვწამა, რა ანგარიშები არ წარმოგვიდგინა. ბ. შახატუნი იმეორებს მასვე და ჩვენ „საერობო თათბირის“ უმრავლესობას თავზე გვახვევს ვითომ ჩვენ ვილაცას ველაქუცებოდეთ, ვილაცას ფეხქვეშ ვეგებოდეთ.

როგორც ერთმა შვილმა ქართველი ერისამ მე აქ საჯაროდ უნდა განვაცხადო, რომ არავისთან სალაქუცო და ფეხ ქვეშ გასაგები არა გვაქვს რა. და რომ არავის არ შეუძლიან ჩვენ რამე ანგარიშები წარმოგვიდგინოს, თუ ანგარიშებზე მიდგება საქმე, ჩვენ უფრო საბუთიანი ანგარიშები გვაქვს წარსადგენი, ქართველმა ერმა სისხლით დაუმტკიცა თავისი მეგობრული კავშირი რუსეთის პროგრესსიულ ნაწილს, ქართველი ერი თავის ერთგულებასა და მტკიცე ლოიალიზმს რუსეთის წინაშე ბრძოლის ველზე სისხლით ამტკიცებდა და დღესაც ამტკიცებს თავის საუკეთესო შვილთა შემწეობით.

როცა ამის შემდეგ გამომდგარა რუსეთის პროგრესსიული საზოგადება და გვისაყედურებს, ვითომ ზურგში მახვილი დავეცით, ჩვენ აღარა გვესმის რა.

არა, ბატონო, ქართველ ერს როდი სჩვევია ვისმე ზურგში მახვილის დაცემა არა თუ მოყვარეებისთვის არც მტრებისთვის (მხურვალე ტაშის ცემა) რა დავაშავეთ, ეგრედ წოდებულმა „საერობო თათბირის“ „უმრავლესობამ“ მიიღო რა მხედველობაში დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა სალხისა, როცა საერობო ძალთა სასწრაფო ორგანიზაცია მოუცილებელია. განაცხადა მოგვეცით ეხლავე ის ტიპი ერობისა, რომელიც რუსეთში წარმოებსო. აქ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ—არ იყო ერთი კაცი საერობა თათბირის ‚უმრავლესობაში“, რომელსაც 1890 წლის ერობისადმი თავისი უარმყოფითი განწყობილებ არ განეცხადებინოს, თავისი მხრით ეს ერობა არ დაეგმოს—მაგრამ ტაქტიკურის მოსაზრებით დღეს დღეობით მისღებად მიიჩნია ეს ტიპი ერობისა. თუ ეგ ეგრე არ ყოფილიყო, თუ იქ ვინმე ყოფილიყო პრინციპიალური მომხრე და თაყვანისმცემელი 1890 წლის ერობისა, როგორღა შეიძლებოდა საერობო სათათბიროს ერთხმად დაედგინა, რომ ყოველივე გაუმჯობესობა 1890 წლ. ერობაში უნდა თავისთავად, ავტომატიურად უნდა ამიერ-კავკასიის ერობასაც შეეხებოდეს.

„უმრავლესობის“ საწადელი იყო, რაც შეიძლებოდა მალე ერობის შემოღება. 1905 წელში ჩვენ ისეთი რადიკალური ერობის პროექტი შევადგინეთ, რომ არსად დედამიწის ზურგზე ისეთი რადიკალური ტიპის ერობა არ არის, მაგრამ ეს ჩვენში ერობის შემოღებისათვის ხაფანგიმახე შეიქმნა. მე, თქვენს უმორჩილეს მონას და არა მარტო მე, არამედ ჩვენ დეპუტატებს და ბევრს, სხვას გაუგონია რუსეთის თითქმის ყველა ჯგუფის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან: ის ერობა, რომელიც ჩვენშია, მიირთვით, ხოლო თქვენი რესპუბლიკანური ერობის მოცემა ჩვენ არ შეგვიძლიან! ჩვენ მიერ 1890 წლ. ერობის მოთხოვნა ერთგვარ პოლიტიკურ პროტესტად უნდა მიიღოთ, უნდა გაიგოთ ჩვენი თქმა: თქვენგან დაწუნებული ერობა მაინც მოგვეცითო. ეხლა სამაგიეროდ საყვედურებით გვიმასპინძლდებით და გვეუბნებიან: შესაძლოა უფრო დემოკრატიული და ლიბერალური ტიპის ერობის შემოღებაო! მადლობელი ვართ, მაგრამ სად არის გარანტია ამისი. შეუძლია თუ არა პატივცემულ პროგრესიულ დეპუტატს სახელმწიფო სათათბიროსას, ვლ. ალ რჟევსკის, მოგვცეს იმის გარანტია, რომ ასეთი ერობის განხორციელება შესაძლებელია დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ კონიუნქტურის დროს? მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ფრთა სათათბიროისა, რომელსაც ეკუთვნის თვით დეპუტატი რჟევსკი, ამის წინააღმდეგი არ წავა, მაგრამ მარჯვენა ფრთა სათათბიროისა როგორ მოიქცევა—ამის თქმა არავის შეუძლია. მათი პოლიტიკური სიმტკიცე ძალიან საეჭვოა, იგი ყოველთვის რყევაშია და ყოველთვის დამოკიდებულია სხვადასხვა იდუმალ და ცხად კომბინაციებზე, რომლის წინასწარ აწონ-დაწონვა არავის შეუძლია.

მაგრამ ვსთქვათ, რომ სათათბიროში კიდევაც გავიდა ეს პროექტი – რაღას უპირებთ სახელმწიფო საბჭოს,

ეს სათათბირო არ იყო 1912-ში არხანგელის გუბერნიის ერობა დაასამარა თავად-აზნაურთა ელემენტი დაჩაგრულიაო. და არხანგელში არც კი არსებობს თ.-აზნაურობა, ასე რომ, ჯერ ეს წოდება უნდა შექმნილიყო—უთუოდ ასეთი იყო აზრი საბჭოს ბრძენთა—და მერე უნდა შემოეღო ერობა. ამას თავი დაანებეთ. ამ რამდენიმე დღის წინად უთუოდ ყველა თქვენგანს ექნება წაკითხული ჩვენში გავრცელებულ გაზ. „რუსკ. ვედ.“-ის ცნობა იმის შესახებ რომ სათათბიროს მიერ შემუშავებული პროექტი ციმბირის ერობისა,

გადაამახინჯა მთლად ერთიანად და ისეთი ცვლილებები შეიტანა, რომ 1890 წლის ერობაზედ უარესი გამოდგა. ტყვილა კი არ გვედავებოდა აქ საერობო თათბირზედა ბ. ნევეროვი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, და ეს სათათბიროს უმცირესობას დიდად უხაროდა—რას ჩასცივებიხართ ამ 1890 წლ. ერობასო. არის სხვა ტიპები ერობისა ფრიად გამოსადეგი კავკასიისთვისაო და 1903 წლ. ერობისკენ გვერეკებოდა.

პატივცემულმა დეპუტატმა ვ. ალ. რჟევსკიმ სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიაში არსებობს ანტაგონიზმი ეროვნებათა შორის, მაგრამ თანაც სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ამ ანტაგონიზმით ისეთი ახსნა, რომელიც მან აქ წარმოადგინა. ჩვეულებრივი ტრაფარეტი, ერთგვარი შაბლონია რუსის ლიბერალურ პრესსის მიერ აჩემებული, რომ ქართველ-სომეხთა ურთიერთობის გამწვავება ეკონომიურ ნიადაგზე ხდება, რომ ქართველი ერი იმის თქმას ველარ კისრულობს, რომ კულტურულად დაქვეითებულია—ვინაიდან ამის თქმა სახიფათო იქნებოდა—რომ ქართველი ერი მეურნე ერია და ეკონომიურად ჩამორჩენილი და პროგრესიულ წინ წასულ ეკონომიურად გალონიერებულ სომხის ვაჭარ და მრეწველ ერს ებრძვის სწორედ ამ ეკონომიურ სხვა დასხვაობის ნიადაგზეო--ვსთქვათ ეს ასეა, ვსთქვათ მართლაც ეკონომიური მიზეზია აქ და სხვა არა—რა, მერე ამ ნიადაგზე აღმოცენებული ანტაგონიზმი აბუჩად ასაგდებია. გაითვალისწინეთ დღევანდელი ქარ-ცეცხლი განა ეკონომიურ მიზეზებს აქ ცოტა ადგილი უკავია, განა რუსეთი იმიტომ ებრძვის გერმანიას, რომ გერმანია უფრო სუსტია ეკონომიურად რუსეთზე? წინაალმდეგ—სწორედ იმიტომ ებრძვის რუსეთი გერმანიას, რომ ეკონომიურად დაჩაგრულია და უნდა მისი კლანჭებიდან გაინთავისუფლოს თავი. (ტაშის ცემა)... მაგრამ კავკასიის ერთა შორის ანტაგონიზმს უფრო ღრმა საფუძველი აქვს, საქმე იმაში გახლავსთ, რომ

გინდათ კავკასიის ერთა შორის არ იყოს შუღლი და უთანხმოება დაეხსენით, ბატონებო, რომელიმე ერის პრივილეგიებით აღჭურვას (ტაშის ცემა) რუსეთის ბიუროკრატიას კი ასი წლის განმავლობაში ჰყავდა ასე ამოჩემებული ერი და შემცდარი იქნება თუ ვინმე იფიქრებს რომ ეს ამოჩემება ამ ერის სასარგებლოდ იყო ნაწარმოები სრულიადაც არა! ის თავის მიზანს ანხორციელებდა და კიდევაც განახორციელა. კავკასიის ერთა შორის ეს შუღლი ეს ანტაგონიზმი არსებობს და როდესაც ჩვენ 1890 წ. ერობას ვებღაუჭებით ასეა თუ ისე ყოველივე თავის დეფექტებს გარეშე ეს ერობა კავკასიის ერთა ეროვნულ ინტერესებს არა სჩაგრავს, ჩვენ გვსურს საქართველოში ერობაში ქართველი ერი იყოს პატიოსანი, ვინაიდან ეს მას ეკუთვნის ყოველგვარი კანონის და სამართლიანობის მიხედვით. ვერავინ ვერ შემწამებს თ.-აზნაურობის მომხრეობას, მე არა მარტო თეორიულად, პრაქტიკულადაც ვებრძვი რეაქციონურ ნაწილს თ.-აზნაურობისას. მაგრამ ჩემის ერის ინტერესი მოითხოვს მას, რომ თუ არჩევანი მიდგა უცხოელი პლუტოკრატიის გამეფებას ერობაში გვირჩევნია ჩვენი ცუდი არისტოკრატიის ბატონობა, ამისთვის ნურავინ დაგვძრახავს.

თქვენ კი გვაწვდით პროექტს სადაც გნებავთ თავზე წამოგვასხათ უცხო ერის პლუტოკრატია—ამიტომ ვეკიდებით ამ პროექტებს ჩვენთვის უცნობს სრულის უარ-ყოფით. ჩემ სიტყვას იმით ვათავებ, რომ პროგრესიულ რუსეთს ჩვენდამი სასაყვედურო არა აქვს რა. ჩვენ ჩვენს იმედებს ვამყარებთ სწორედ რუსეთის დემოკრატიულ ნაწილზედ და მათთან ერდად შეკავშირებულს გვაქვს იმედი ჩვენი უფრო უმაღლესი საეროვნო იდეალები განვახორციელოთ. ჩვენ ყოველთვის მხარს დაუჭერთ მას, ვეცდებით გავაღონიეროთ და როცა მის ხელში იქნება ძალა და უფლება, მოვითხოვთ ჩვენი თვით უსაყვარლესი ნაციონალური საჭიროების განხორციელებას. იგი იძულებული იქნება აღასრულოს ეს, თუ კი სურს სიმტკიცე რუსეთისა და აყვავება განაპირა ქვეყნებისა, რომელნიც რკალივით აქვს შემორტყმული რუსეთს*).

(ხანგრძლივი და მხურვალე ტაშის ცემა).

რუსეთი.

ბოლო დროს მრავალი ბანკი სპეკულიაციის წყალობით ადიდებდა თავის სარგებელს, ეხლა მთავრობას განზრახვა აქვს ყოველი ბანკის აქციონერთა სხდომაზე თავისი წარმომადგენელნი იყოლიოს, რათა წინდაწინვე იცოდენ როგორ მოქმედებს ბანკი.

თბილისის, ტამბოვის, კიევის და სხვა ქალაქების საქალაქო თვითმართველობათ უთხოვიათ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ნებართვა სესხის ასაღებათ. სამინისტროს უარი შემოუთვლია, სესხს ეხლა დიდი სარგებელი დასჭირდება, ნეიტრალ სახელმწიფოებში აღებულ სესხს უარყოფითი სახელმწიფო მნიშვნელობა ექნება და ამიტომ სახელმწიფო ბანკი მოგცემთ მოკლე ვადიან სესხსაო.

შტიურმერი ავადმყოფობისა გამო მალე სამსახურს თავს დაანებებს დროებით.

ხმებია როძიანკო პრემიერ მინისტრად დაინიშნებაო.

ოდესის სასამართლოს თავმჯდომარეს ნება დაურთავს მოხელეებისათვის სასამართლოში ქალამნებით იარონ, ვინაიდგან ჯამაგირის სიმცირის გამო მოხელეები ვერ ყიდულობენ ახალ ფეხსაცმელებს.

როდესაც ცნობილ ექიმ კოსტავას გაუგია, რომ სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა, ნავთი გადაუსხამს და თავის დაწვას სცდილობდა.

შტიურმერს განუცხადებია ტრეპოვისთვის, სასურსათო საქმე მოწესრიგებულად უნდა ჩაითვალოსო. აქნობამდე გამეფებული უწესრიგოებას შტიურმერი კერძო მიზეზებით ხსნის.

ხმებია სახელმწიფო საბჭოს მუშაობას სათავეში ჩაუდგებაო

პროტოპოპოვის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. მისგან მოელიან სასურსათო საქმეების საბოლოოდ მოწყობას.

- კრივოშეინი მეფის სადგომიდან დაბრუნდა. ამბობენ მასაც დიდ თანამდებობაზე დანიშნავენო.

სამართლის სამინისტროს აზრად აქვს ტუსაღებისათვის განსაკუთრებული გაზეთი გამოსცეს; სახელად მას „ზერნო“ ერქმევა; ამ გაზეთში მონაწილეობას მომეტებულ ნაწილად თვით ტუსაღები მიიღებენ.

უცხოეთი.

ამერიკაში ეშინიათ, რომ თუ ჩინეთმა დააკმაყოფილა იაპონია და სრულიად მიიღო მისი მოთხოვნილებანი, ამერიკის ვაჭრობას ჩინეთთან დიდი საფრთხე მოელისო.

საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელს განუცხადებია გერმანიის სამხედრო მინისტრისათვის: სასიამოვნო იქნებოდა თუ გერმანია შვეიცარიით სამშობლოში დააბრუნებს საბერძნეთის ჯარს, რომელიც ბულგარელებმა დაატყვევესო. მინისტრი პრინციპიალურად დათანხმებია, მაგრამ უთქვამს იმის გარანტიაა საჭირო, რომ ამ ჯარს მოკავშირენი არ დასჯიან გზაში და ან ჩვენს წინააღმდეგ არ აამხედრებენო.

ვენიზელოსს კუნძულ კრიტზე მთელი შტაბი გაუყოლებია თან.

გაზ. „ფორვერცი“ ეხება ეხლახან დასრულებულ გერმანიის სოციალდემოკრატთა კონფერენციის მუშაობას და ამბობს: პარტიული დისციპლინა და მთლიანობა, თუმც არ დარღვეულა, მაგრამ უთანხმოება მაინც დიდი იყოვო.

უნგრეთიდან იტყობინებიან, პარლამენტი თავისით დაიშლება და არა იმპერატორის ბრძანებითო. ეს პირველი მაგალითია უნგრეთის პარლამენტის ისტორიაში.

ამერიკაში ამ ახლო მომავალში მოსალოდნელია დიდი უწესოება მოხდეს; საქმის გარემოება ასეთია: პრეზიდენტ ვილსონის კონგრესის ლიდერებთან მოლაპარაკების შემდეგ დეპუტატმა ადამსონმა რვა საათის სამუშაო დღის დაწესების პროექტი შეიტანა კონგრესში. ეს ერთად ერთი ზომა იყო მუშების განზრახულ საყოველთაო გაფიცვის თავიდან ასაშორებლად. ეხლა კი, რადგანაც პალატა აგვიანებს ადამსონის პროექტის განხილვას და გაფიცულთა წინაალმდეგ კი ეხლავე სასტიკ ზომებს მიმართეს მთავრობამ და მრეწველებმა მუშები გაფიცულან და თუ გაფიცვა არ შესწყდა დროზე მთელი ჩრდილო აღმოსავლეთი შტატების ტერიტორიისა უმოძრაოდ დარჩება და ყველა რკინის გზებზე მუშაობა შესწყდება

ჩიკაგოში გარდაცვლილა მსოფლიოდ ცნობილი ქირურგი ჯონ ბენჯამინ მერფი. მრავალი აღმოჩენა მოახდინა საქირურგო საქმეში და სხვათა შორის მისი მეთოდით ხელმძღვანელობენ დღეს კუჭისა და ნაწლევების ოპერაციის დროს. ბოლო ხანებში მერფი მუშაობდა ერთი კაცის ძვლისა და ტყავის მეორე კაცის ტანში გადატან-შედუღებაზე.

---

*) ისეთის გულწრფელობითა და მამულიშვილურის გრძნობითაა გამთბარი ბ-ნი კიტა აბაშიძის სიტყვა, რომ ჩვენ განცვიფრებაში მოვდივართ, რად გაურბის, პატივცემული ორატორი ჩვენ წრეს და ამისთანა მისწრაფების შემდეგ, ნეტა რაღა გვაქვს ჩვენდა იმას გასაყოფი?!

რედ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხ. „სამშობლო“

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან —	დილის —	7 ს. 25 წ.
„ —	სალამ. —	8 ს. 50 „
ბათომიდან —	დღისით —	12 ს. 40 „
„ —	ღამის —	2 ს. 20 „
ფოთიდან —	დილის —	10 ს. 26 „
ტყიბულიდან —	საღამოს —	6 ს. 50 „
შორაპნიდან —	დილის —	9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ —	დილის —	11 ს. — „
„ —	ღამის —	12 ს. 15 „
ბათომისაკენ —	საღამოს —	7 ს. 3 „
„ —	დილის —	5 ს. 55 „
ფოთისაკენ —	დღისით —	4 ს. 8 „
ტყიბულისკენ —	დილის —	6 ს. 20 „
შორაპნისაკენ —	დღით —	5 ს. 20 „

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ

ვამზადებ მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის. შესავალი გაზ. „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ბაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სიჯანსაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან